პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 84 (4594)

1972 წ. 29 აპრილი, შაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## სსრ კავშირის ჩემპიონატი აკრობატიკაში





## საქართველოს ოთხეული — უძლიერესი

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა საბჭოთა ქვეყნის უძლიერეს აკრობატთა შეჯიბრება. ამ საინტერესო ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები: ჯგუფურ ვარჯიშში სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა საქართველოს ოთხეულმა (ა. სლივკოვი, თ. ლომთაძე, ა. თედეევი, ს. დელიბალტოვი), ხოლო თავისუფალ ვარჯიშში I ადგილი დაიკავა ს. დელიბალტოვმა.

ძალისმიერ წყვილებში ყველას აჯობა ვ. ანანევიჩისა და ა. ლავრენკოვის დუეტმა, შერეულ წყვილთა შორის — გ. ვასიანინამ და ი. საველიევმა (ორივე წყვილი — რსფსრ).

ხტომებში იმარჯვეს: ქალებში — ნ. ტიმოფეევამ, ვაჟებში — ა. ტიმოფეევმა (ორივე — რსფსრ).

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. რსფსრ, 2. საქართველო, 3. უკრაინა.

* * *

სურათებზე: საბჭოთა კავშირის ჩემპიონები შერეულ წყვილთა შორის გ. ვასიანინა და ი. საველიევი; თავისუფალ ვარჯიშში პრიზიორები: (მარცხნიდან) ნ. შერმანი (ბელორუსია), ა. სახანი (უკრაინა) და ა. პოლოსიანი (თბილისი).

მ. ზარგარიანის ფოტოები.

## ოქროს 7 მედალი!

### მარსაგიშვილის ვერცხლის ჯილდო

კატოვიცე, 27 აპრილი. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპული ჩემპიონატი საბჭოთა ათლეტების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ოქროს 7 და ვერცხლის 1 მედალი — ასეთი წარმატება ერთ რომელიმე ტურნირში არც ერთი ქვეყნის გუნდს არ ჰქონია. სასიხარულოა, რომ ოლიმპიური თამაშების წინ რამდენიმე თვით ადრე საბჭოთა ათლეტები მზად არიან ყველაზე მძიმე და პასუხსაგები გამოცდებისთვის.

გუნდური გამარჯვებისთვის, როგორც მოსალოდნელი იყო, საბჭოთა და ბულგარელი ათლეტები იბრძოდნენ. ევროპის ბოლო ჩემპიონატში წარმატებას ბულგარელებმა მიაღწიეს. კატოვიცეში საბჭოთა მოჭიდავეებმა რევანში აიღეს და 3 ქულით გაუსწრეს ყველაზე ძლიერ მეტოქეს (50 ქულა). მომდევნო ადგილებზე არიან: რუმინეთი — 26, გდრ — 20, თურქეთი — 16, პოლონეთი — 9 და სხვ.

აი, როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები ქვეყნებს შორის:

| | I | II | III |
|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 7 | 1 | — |
| ბულგარეთი | 1 | 6 | 2 |
| რუმინეთი | — | 1 | 3 |
| გდრ | 1 | 1 | 2 |
| თურქეთი | 1 | 1 | — |
| პოლონეთი | — | — | 2 |
| იუგოსლავია | — | — | 1 |

პირადი პირველობისთვის დავაც უმთავრესად საბჭოთა და ბულგარელ ათლეტებს შორის გაიმართა. პირველი ჩემპიონი ქვემსუბუქ წონაში ფინალურ შეჯიბრებამდე კარგა ხნით ადრე გამოვლინდა. კიეველმა ი. კულეშოვმა ზედიზედ დაამარცხა მთავარი მეტოქეები: ბულგარელი შავოვი, უნგრელი კლინგა და პოლონელი ჟედიცკი. ასე რომ, ფინალისტები მხოლოდ ვერცხლის მედლისთვის იბრძოდნენ. ეს ჯილდო ბულგარელს დარჩა.

ვადამდე დაამთავრა ჩემპიონატი მსოფლიოსა და ევროპის ექს-ჩემპიონმა, მოსკოველმა გ. სტრახოვმაც (მეორე საშუალო წონა). მას მთავარი ბრძოლა მესამე წრეში ჰქონდა ბულგარელ პეტროვთან. ქულებით გამარჯვებამ ექს-ჩემპიონს გზა გაუხსნა ფინალისკენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ გადამწყვეტ ეტაპზე ასპარეზობა მას არ დასჭირდა. შვეიცარიელ მარტინეტისთან ბრძოლის შემდეგ (ეს შეხვედრა სტრახოვმა ქულებით მოიგო) ექს-ჩემპიონს ფრეც ხელს აძლევდა. პოლონელი კურჩევსკიც თანახმა იყო: რისკზე წასვლა და ბრინჯაოს ჯილდოს დაკარგვა არ უნდოდა.

ფინალური დღის პროგრამა ყველაზე ადრე მინსკელმა ა. მედვედმა შეასრულა. მან 59 წამში ბეჭებზე დასცა რუმინელი სტინგუ და ერთსულოვანი ტაშის ხმაზე დატოვა დარბაზი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა გოლიათმა, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობითა და სიმპათიით სარგებლობდა პოლონელ გულშემატკივართა შორის, ხუთი შეხვედრა წმინდად მოიგო.

ფინალში წმინდა გამარჯვება იზეიმა პირველი საშუალო წონის ათლეტმა, მედვედის თანაქალაქელმა ვ. სიულჟინმაც. მე-3 წუთის მიწურულს რუმინელმა დუმიტრუმ წინააღმდეგობა შეწყვიტა და პირველმა მიულოცა წარმატება მეტოქეს.

კენჭისყრამ აშკარად დაჩაგრა კრასნოიარსკელი ი. იარიგინი (ქვემძიმე წონა). მას ბოლო დღეს სამჯერ მოუხდა ხალიჩაზე გამოსვლა, მაგრამ ციმბირელმა ათლეტმა შეუპოვრობა გამოიჩინა, არ შეუშინდა სიძნელეებს და ყველა მეტოქე რიგრიგობით დაამარცხა. განსაკუთრებით ლამაზი იყო მისი ბოლო წმინდა გამარჯვება ბაჰმანთან (გდრ).

თავი გამოიჩინეს ნაკრების დებიუტანტებმა, მახაჩყალის უნივერსიტეტის სტუდენტმა, 23 წლის ა. ალახვერდიევმა (მჩატე წონა) და ოცდაათ წელს მიღწეულმა ვეტერანმა, ორჯონიკიძის სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ რ. პლიევმა (მსუბუქი წონა). ალახვერდიევს უფრო იოლი გამოცდის ჩაბარება მოუხდა. მან მე-8 წუთზე წმინდად მოუგო რუმინელ ბუტუს და კმაყოფილმა დატოვა დარბაზი, ვინაიდან ოქროს მედალს ველარავინ შეეცილებოდა. პლიევი კი სულ რაღაც ოციოდე წუთში ორჯერ გამოვიდა სარბიელზე. მან ჯერ თურქი სარი გააკრა ხალიჩას ზედ არბიტრის საფინალო სასტვენის წინ, მერე კი თავბრუდამხვევი შეტევებით წონასწორობიდან გამოიყვანა რუმინელი კომანი. იგი, რა თქმა უნდა, არ ელოდა საბჭოთა სპორტსმენის ასეთ ტიტულ სტარტს და ყრუ დაცვაზე გადავიდა. მსაჯებმა რუმინელი რამდენიმეჯერ გააფრთხილეს, პასიურად ნუ ჭიდაობო, მაგრამ დაბნეულმა კომანმა ყურად არ იღო გაფრთხილება და... შეჯიბრებიდან მოიხსნა. კიდევ კარგი, რომ ამ დროისთვის ბრძოლა მსუბუქ წონაში დამთავრებული იყო, თორემ კომანი ბრინჯაოს მედალსაც დაკარგავდა.

ტურნირის საზეიმო დახურვის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. რიბალკომ თბილი სიტყვებით მოიხსენია მეორე ქვესაშუალო წონის ათლეტი რ. მარსაგიშვილი:

— რომანი ამ ზამთარს მძიმედ დაშავდა და მთელ ორ თვეს არ უჭიდავია, მიუხედავად ამისა, გუნდმა თამამად ანდო ადგილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის 22 წლის სტუდენტს და, ვფიქრობ, სავსებით სამართლიანადაც. რომანმა ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრები, რომელთაგან სამი წმინდად მოიგო. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი გამარჯვება ოლიმპიური თამაშების პრიზიორთან და მსოფლიოს ექს-ჩემპიონთან, ფრანგ დ. რობენთან. ვფიქრობ, ვერცხლის მედალი, რომელიც ახლახან გამოჯანმრთელებულმა სპორტსმენმა კატოვიცეში მიიღო, დიდი გამარჯვებაა.

გთავაზობთ პრიზიორთა სამეულებს:

48 კგ. 1. ს. ბაიგინი (თურქეთი), 2. ი. მებიუსი (გდრ), 3. ო. ნიკოლოვი (ბულგარეთი).

52 კგ. 1. ა. ალახვერდიევი (სსრ კავშირი), 2. ბ. ბაევი (ბულგარეთი), 3. პ. ბუტუ (რუმინეთი).

57 კგ. 1. ი. კულეშოვი (სსრ კავშირი), 2. ი. შავოვი (ბულგარეთი), 3. ზ. ჟედიცკი (პოლონეთი).

62 კგ. 1. რ. პლიევი (სსრ კავშირი), 2. მ. სარი (თურქეთი), 3. პ. კომანი (რუმინეთი).

68 კგ. 1. ჰ. ჰუსეინოვი (ბულგარეთი), 2. პ. პაოლელუნგუ (რუმინეთი), 3. ს. სალიოვსკი (იუგოსლავია).

74 კგ. 1. ა. ჰეგერი (გდრ), 2. რ. მარსაგიშვილი (სსრ კავშირი), 3. ნ. პავლოვი (ბულგარეთი).

82 კგ. 1. ვ. სიულჟინი (სსრ კავშირი), 2. ი. ილიევი (ბულგარეთი), 3. გ. ნიტშკე (გდრ).

90 კგ. 1. გ. სტრახოვი (სსრ კავშირი), 2. რ. პეტროვი (ბულგარეთი), 3. პ. კურჩევსკი (პოლონეთი).

100 კგ. 1. ი. იარიგინი (სსრ კავშირი), 2. ი. ტოდოროვი (ბულგარეთი), 3. გ. ბაჰმანი (გდრ).

მძიმე. 1. ა. მედვედი (სსრ კავშირი), 2. ო. დურალიევი (ბულგარეთი), 3. ს. სტინგუ (რუმინეთი).

* * *



სურათზე: რ. მარსაგიშვილი.

## წარმატება გრძელდება

რიგა, 27 აპრილი. ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირში „რიგა-72“ ცალკეულ იარაღებზე გამარჯვებისთვის ბრძოლაში ქალთა შორის საუკეთესო აღმოჩნდა გროდნოელი მოსწავლე ო. კორბუტი. იგი მრავალჭიდის ოთხივე სახეობაში პირველობდა და მხოლოდ თავისუფალ ვარჯიშში გაიყო გამარჯვება რიგელ ტ. შჩეგოლკოვასთან. ვაჟთა შეჯიბრებაში ბედი ყველაზე ხშირად უღიმოდა ტურნირის მეორე ლაურეატს, ქვეყნის აბსოლუტურ ჩემპიონს, ვლადიმირელ სტუდენტს ნ. ანდრიანოვს, რომელიც საუკეთესო იყო თავისუფალ ვარჯიშში, აგრეთვე, ტაიჭზე და ბჯენით ხტომაში. მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ვ. ბოიკომ მოიგო რგოლებზე ვარჯიში. იაპონელმა სტუმარმა, ამო-

(დასასრული მე-3 გვ.).

## კრიზი — გორდეევს

პლოვდივი, 27 აპრილი. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია სპიდვეისტთა საერთაშორისო შეჯიბრებამ „დიდ პრიზზე“. გუნდურ ჩათვლაში ამ საპატიო სპორტულ ნადავლს სსრ კავშირის მოტომრბოლელები დაეპატრონენ. II ადგილზე გავიდნენ ბულგარელები, III — რუმინელები.

პირად ჩათვლაში გაიმარჯვა თბილისელმა ვ. გორდეევმა.

## 1975 წლის მსოფლიო ჩემპიონატი — თბილისში

კატოვიცე, 27 აპრილი. გუშინწინ მოჭიდავეთა ევროპულ ჩემპიონატზე აკრედიტებულ ჟურნალისტებთან პრესკონფერენცია ჩაატარა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა მ. ერცეგანმა (იუგოსლავია). მან მეტად საინტერესო ინფორმაცია გააკეთა წესების მოსალოდნელ ცვლილებებზე, პასიური ჭიდაობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებზე და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ყველა ამ საკითხის განხილვა მოხდება მიუნხენში, ოლიმპიური თამაშების პერიოდში.

შემდეგ ერცეგანმა ჟურნალისტებს გააცნო საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს გადაწყვეტილება მომავალ შეჯიბრებათა კალენდრის შესახებ. პრეზიდენტმა კერძოდ აღნიშნა, რომ გაისად ევროპის პირველობა დანაწევრებულად ჩატარდება: კლასიკური სტილის მოჭიდავეები ფინეთში იასპარეზებენ, თავისუფალი სტილის ათლეტები კი შვეიცარიაში.

ჟურნალისტებმა ინტერესით მოისმინეს მომავალი მსოფლიო ჩემპიონატების კალენდარი (აქ ჭიდაობის ორივე სახეობა გაერთიანებულია): 1973 წ. — თეირანი, 1974 წ. — სტამბოლი, 1975 წ. — თბილისი.

## [illegible] გაზეთი [illegible] [illegible] იყო... 19 45

◆ ბელგრადი, 28 აპრილი. სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრებმა მსოფლიოს ოთხი უძლიერესი გუნდის ტრადიციული საგაზაფხულო ტურნირი ოლიმპიურ ჩემპიონებთან, იუგოსლაველებთან გამარჯვებით დაიწყო — 3:2 (1:1, 1:0, 1:0, 0:1). მეორე მატჩში უნგრეთის ნაკრებმა იტალიის წარმომადგენლებს სძლია — 10:5 (2:0, 1:0, 4:2, 3:3). ამ შეხვედრებს ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო. საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: მეკარეები ი. მიტიანინი (მოსკოვი), ა. კლებანოვი (მინსკი), მცველები ა. დოლგუშინი, ა. აკიმოვი, ვ. რომანჩუკი, ვ. პუშკარიოვი, ნ. მშვენიერაძე, ა. კაბანოვი, ვ. სერგეევი, ა. როდიონოვი, ნ. მელნიკოვი (ყველა — მოსკოვი).

## 82:78

კიევი, 27 აპრილი. გუშინ აქ ამერიკის კალათბურთელთა ოლიმპიური ნაკრები უკრაინის გუნდს შეხვდა, რომელიც „სტროიტელისა“ და ასკ-ს საუკეთესო მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული. მასპინძლებმა ენერგიულად ჩაატარეს პირველი ტაიმი და იგი 10 ქულის სხვაობით მოიგეს — 43:33.

შესვენების შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდეს სტუმრებმა, რომლებმაც მატჩის მიწურულს გაათანაბრეს ანგარიში, მერე კი დაწინაურდნენ კიდეც. აშშ-ს ოლიმპიურმა ნაკრებმა გაიმარჯვა — 82:78.

სტუმართაგან ყველაზე შედეგიანი იყო რიჩარდსი (18 ქულა), მასპინძლებში — პოგულიაი (22 ქულა).

მომდევნო მატჩს ამერიკელები ჩაატარებენ ვილნიუსში ლიტვის ნაკრებთან.

კალათბურთი

# როდემდე?..

26 აპრილს საღამოს მოსკოვიდან ამსტერდამში საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის მისამართით შემდეგი შინაარსის დეპეშა გაიგზავნა:

„სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია აღნიშნავს, რომ ჭადრაკის ისტორიაში უპრეცედენტო მდგომარეობა შეიქმნა: მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის პრეტენდენტი ცდილობს წამოაყენოს თავისი პირობები, რომლებიც არც წესდებას ეყრდნობა, არც წესებს, სარგებლობს ფიდე-ს ხელმძღვანელობის დაუდევრობით და მის გადაწყვეტილებებს გვერდს უვლის.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია, ეყრდნობა რა ფიდე-ს წესებსა და გადაწყვეტილებებს, მატჩის ჩატარებისთვის თავის პირობებს გაცნობებთ:

1. ვინაიდან ფიდე-ს პრეზიდენტის კომპრომისული გადაწყვეტილება მატჩის ორ ქალაქში გამართვის თაობაზე რ. ფიშერის მიზეზით შეუსრულებელი აღმოჩნდა, ორთაბრძოლა უნდა ჩატარდეს რეიკიავიკში 1971 წლის 29 დეკემბერს ისლანდიის ფედერაციის განაცხადში აღნიშნული პირობებით, წესებით დადგენილ ვადებში და 20 მარტს შეთანხმებული რეგლამენტით, ოღონდ გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ მატჩი აღარ გაიყოფა. თუ ფიდე ორგანიზატორებს პრეტენდენტის აბეზარი მოთხოვნებისგან დაიცავს, მატჩი კიდევ შეიძლება შედგეს.

2. თუ რ. ფიშერი დაუყოვნებლივ არ დაემორჩილება ამ გადაწყვეტილებას, მას 1968 წლის წესების მე-7 მუხლის 5 „ბ" პუნქტის შესაბამისად მატჩის თამაშის უფლება უნდა ჩამოერთვას და ახალი პრეტენდენტი დაინიშნოს. თუ ფიდე-ს პრეზიდენტს იმედი აქვს, როგორც ფიდე-ს 24 აპრილის დეპეშიდან უნდა გავიგოთ, რომ წინანდელ გადაწყვეტილებებსა და შეთანხმებებს ხაზს გადავუსვამთ, რათა მოლაპარაკებათა ახალი ტური და ძიება დავიწყოთ, მაშინ ნუ ელის ჩვენს მხარდაჭერას. იგი უნდა იყოს პასუხისმგებელი ყველა იმ აზრის გამო, რაც ასეთ გადაწყვეტილებას შეიძლება მოჰყვეს. სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია".

27 აპრილს დილით „იზვესტიის" კორესპონდენტი შეხვდა სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დირექტორს ვ. ბატურინსკის და სთხოვა ფიდე-ში გაგზავნილი დეპეშისთვის კომენტარი გაეკეთებინა.

— სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის 1972 წლის 19 აპრილის განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, სადაც ნათქვამი იყო, რომ მსოფლიო პირველობაზე მატჩს ამერიკელი დიდოსტატის ფიშერის მიზეზით ჩაშლა ემუქრება, საქმე პრაქტიკულად ადგილიდან არ დაძრულა და ფიდე-სგან არავითარი გარკვეული პასუხი არ მიგვიღია, — თქვა ვ. ბატურინსკიმ.

ფიდე-ს პრეზიდენტი მაქს ეივე უკვე ორი თვეა არ არის ამსტერდამში, თავის რეზიდენციაში.

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ დიდი სულგრძელობა და მოთმინება გამოიჩინა. მან ძალა და მონდომება არ დაიშურა, რათა ბ. სპასკისა და რ. ფიშერის მატჩი შემდგარიყო. ახლა, როცა შეჯიბრების დაწყებისთვის დაწესებული ვადის გასვლამდე (ფიდე-ს წესებით, არაუგვიანეს 1 ივლისამდე) ორი თვე დარჩა, შემდგომი გაურკვევლობა უკვე მოუთმენელია. სწორედ ამასთან დაკავშირებით გაიგზავნა დეპეშა 26 აპრილს ფიდე-ს მისამართით.

— შექმნილი მდგომარეობიდან რა გამოსავალს ხედავთ?

— პირველ ყოვლისა, ფიდე-მ უნდა იმოქმედოს სწრაფად, გაბედულად, თავისივე წესებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე, მატჩის ორგანიზატორები დაიცვას პრეტენდენტის ახალი ჭირვეულობისგან. ჯერ კი გვეეჭვება, რომ იგი ასე მოიქცევა. ამას ისიც მოწმობს, რომ ნიდერლანდების ჭადრაკის ფედერაციამ უარყო ეივეს თხოვნა მატჩის პირველი ნახევრის ჩატარების თაობაზე.

როგორც ცნობილია, ისლანდიის დედაქალაქი რეიკიავიკი მსოფლიო ჩემპიონმა პირველ ადგილზე დააყენა ფინალური მატჩის მასპინძლობისთვის სასურველ ქალაქთა შორის. ამიტომ სამართლიანი და საფუძვლიანი იქნება, რომ მატჩი ამ ქალაქში ჩატარდეს, ფიშერს კი არჩევის უფლება ჩამოერთვას.

— უცხოურ პრესაში გამოჩნდა ცნობები, რომ მატჩის ჩატარება შესაძლებელია ავსტრალიაში, მექსიკაში, პუერტო-რიკოში და სხვაგან.

— ჯერ ერთი, ჩვენ არავითარი ახალი წინადადება არ მიგვიღია. კიდეც რომ მიგველო, ვერ განვიხილავდით, ვინაიდან მატჩის მასპინძლობის მსურველთა განაცხადების განხილვა მხოლოდ ფიდე-ს მიერ დადგენილ ვადამდე, 1971 წლის 31 დეკემბრამდე შეგვეძლო.

„იზვესტია", 28. IV.

* * *

ჰააგიდან იუპი-ს კორესპონდენტი იტყობინება: ფიდე-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეიკიავიკი მზადაა მთლიანად ჩაატაროს ბ. სპასკი — რ. ფიშერის მატჩი მსოფლიო პირველობაზე. ეს გადაწყვეტილება შეესაბამება სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის მოთხოვნას მატჩის გამართვის საკითხში შექმნილი ჩიხიდან თავის დასაღწევად.

## როცა ფიშერის მოთხოვნებს ბოლო არ უჩანს...

გფრ-ის ჭადრაკის ფედერაციამ ფიდე-ს უარი შეუთვალა ბ. სპასკისა და რ. ფიშერის მატჩის პირველი ნახევრის ჩატარებაზე. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იტყობინება, ამ ფედერაციის პრეზიდენტმა ლ. შნაიდერმა განაცხადა, რომ მატჩის ორგანიზაციისთვის უკვე ცოტა დრო დარჩა, ხოლო ფიშერის მოთხოვნებს ბოლო არ უჩანს.

## ბელიცა დიდოსტატებს ეკითხება

სარაევოში გამოვიდა ცნობილი იუგოსლაველი საჭადრაკო ჟურნალისტის დ. ბელიცას ახალი წიგნი „ფიშერი პეტროსიანისა და სპასკის წინააღმდეგ".

წიგნში ბევრი საინტერესო ამბავია მოთხრობილი. ყურადღებას იქცევს ცნობილ დიდოსტატთა პასუხი კითხვაზე: ვინ გაიმარჯვებს სპასკი — ფიშერის მატჩში?

სპასკის გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ ბ. ლარსენი, ა. კოტოვი, ტ. პეტროსიანი, ბ. ივკოვი, ა. კარპოვი, ა. ლილიენტალი, ფ. ოლაფსონი და ო. პანო.

ფიშერის გამარჯვებისა სჯერათ ლ. პორტიშს, მ. მატულოვიჩსა და ლ. ევანსს.

პასუხისგან თავი შეიკავეს ვ. სმისლოვმა, ი. ბონდარევსკიმ და ე. ვასიუკოვმა.

მ. ტალმა თქვა, რომ ფიშერი და სპასკი ერთმანეთისადმი დიდი პატივისცემით არიან გამსჭვალული, ამიტომ გამარჯვებული რომ გამოიცნო, მათ პირველ შეხვედრებს უნდა დაუცადო.

● რიგა, 26 აპრილი. სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ვლადიმირელმა ტანმოვარჯიშე ნ. ანდრიანოვმა თავის ჯილდოებს რიგის საერთაშორისო ტრადიციული შეჯიბრების მთავარი პრიზიც დაუმატა — მრავალჭიდში 113,75 ქულა დააგროვა. II ადგილზე გავიდა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ვ. ბოიკო (110,2), ხოლო III — იაპონელი მ. ცუკახარა (110,15).

● დონის როსტოვი, 26 აპრილი. აქ დამთავრდა რსფსრ-ს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი, რომელშიც 12 კაცი თამაშობდა. ოქროს მედალი მოიხვეჭა ომსკელმა ოსტატმა ვ. ცეშკოვსკიმ. მან 13 ქულა დააგროვა, თანაც ყველაზე მეტი — ათი პარტია მოიგო. II-III ადგილები გაიყვეს კურგანელმა ნ. რაშკოვსკიმ და ნოვოსიბირსკელმა გ. ტიმოშჩენკომ — 12,5-12,5 ქულა. ამ ტურნირის შვიდმა საუკეთესო მონაწილემ სსრ კავშირის მომავალი ჩემპიონატის ნახევარფინალის საგზურები მოიპოვა.

● ტაშკენტი, 26 აპრილი. ლატვიის დედაქალაქში გაემგზავრა ჩოგბურთში უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თასი — ლატვიის გუნდმა ეს პრიზი ფინალურ მატჩში ესტონელი ჩოგბურთელების დამარცხებით დაისაკუთრეს — 4:3. III ადგილზე გავიდნენ კორტების მასპინძლები, რომლებმაც ანგარიშით 4:1 სძლიეს უკრაინის ნაკრებს.

● ლენინგრადი, 26 აპრილი. იაპონიის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებთან გამარჯვებას განმეორებით ამხანაგურ მატჩში სსრ კავშირის ეროვნულმა გუნდმა სულ საათი და 25 წუთი მოანდომა. შეხვედრის ანგარიშია 3:0 (15:6, 15:11, 15:9). ბოლო ორ მატჩს იაპონელი სპორტსმენი ქალები მინსკში გამართავენ 28 და 29 აპრილს — ორივეჯერ სსრ კავშირის ნაკრებს ეთამაშებიან.

● ერევანი, 26 აპრილი. დღეს აქ დამთავრდა საერთაშორისო ტრადიციული შეჯიბრება სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე თანამედროვე ხუთჭიდში. გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელმაც 15111 ქულა დააგროვა. II ადგილზე გავიდა სომხეთის გუნდი — 14373. მასპინძლებს სულ ქულით ჩამორჩნენ თანამედროვე ხუთჭიდის უნგრელი ოსტატები. პირად ჩათვლაში საუკეთესო აღმოჩნდა ლვოველი არმიელი, 29 წლის პ. ლედნიოვი (სსრ კავშირის ნაკრები), რომელმაც ქულათა საუცხოო ჯამი დააგროვა — 5222. ოთხკილომეტრიან კროსში ჩინებულად გამოვიდა იაპონელი ი. მაკიხირა, რომელიც 12 წუთისა და 49 წამის შემდეგ მიიჭრა ფინიშთან.

● ზუგრესი (დონეცკის ოლქი), 26 აპრილი. მემაღაროელების, ენერგეტიკოსებისა და მანქანათმშენებლების ამ პატარა ქალაქს არაერთხელ გაუწევია მასპინძლობა ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნებისთვის. და აი, დღეს აქ დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება, რომელშიც თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ორასამდე სპორტსმენი მონაწილეობს, მათ შორის, 14 სპორტის დამსახურებული ოსტატი, 31 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო, ევროპული და საკავშირო ჩემპიონატების ბევრი ლაურეატი. 500 და 1000 მეტრზე წინასწარი და ნახევარფინალური სერიები ძლიერ ქარ-წვიმაში ჩატარდა. სამაგიეროდ, ფინალური სტარტებისთვის გამოიდარა და რბოლებიც, ცხადია, უფრო ნორმალურ პირობებში წარიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, ერთადგილიანი ბაიდარებით ქალთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა ნიჩბოსნობის დიდოსტატმა, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ლ. პინაევამ (ლენინგრადის „ტრუდი"). ნახევარკილომეტრიანი დისტანცია მან 2 წუთსა და 27,2 წამში დაფარა. ოლიმპიურ 1000-მეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვეს: ერთმოსასმელიანი კანოეებით შეჯიბრებაში ევროპისა და მსოფლიო პირველობათა პრიზიორმა ვ. კალიაგინმა (რსფსრ-ს „სპარტაკი") — 4.52,9, ხოლო მებაიდარეთა შორის — ვ. ვერტიანკინმა (უზბეკეთის „ბურევესტნიკი") — 4.30,7.

● სოფია, 26 აპრილი. ბულგარეთის დედაქალაქის სპორტსმენებთან გამართული ორდღიანი მატჩი მოსკოველი მოცურავეების გამარჯვებით დამთავრდა: ისინი პროგრამის 32 სახეობიდან 21-ში პირველნი იყვნენ. სტარტებზე გოგონათა და ჭაბუკთა, ქალთა და ვაჟთა ჯუნდები გამოვიდნენ.

● ჩერვეტერი (ლაციოს ოლქი), 26 აპრილი. იტალიის ამ ქალაქის მახლობლად გაიმართა ტრადიციული ველორბოლა „ფაშიზმისგან იტალიის განთავისუფლების დღის" პრიზზე. დიდი წარმატება ხვდა ომსკელ ი. ოსინცევს, რომელმაც ყველაზე სწრაფად დაფარა 145,2-კილომეტრიანი ტრასა—3:24.55. იტალიელმა ველოსიპედისტებმა ტ. როსიმ და ფ. მოზერმა შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს. მეოთხე იყო მინსკის ოლქის წარმომადგენელი ვ. ბასკო. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ბულგარეთის, ახალი ზელანდიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ეთიოპიის ველოსიპედისტები.

● ორეგონი, 26 აპრილი. ადგილობრივი უნივერსიტეტის სტადიონის სარბენ ბილიკზე სახელგანთქმულმა ამერიკელმა სტაიერმა ს. პრეფონტეინმა გადაწყვიტა თავისთვის ყველაზე მოკლე დისტანციაზე—ერთ მილზე რბენაში ეცადა ძალა. მის ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია: მანძილი წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგით გაირბინა — 3.56,7. სხვათა შორის, ამ სტადიონზე გაიმართება მიუნხენის ოლიმპიადაზე გასამგზავრებელი ამერიკელი ათლეტების შესარჩევი შეჯიბრება.

● ზუგრესი, 27 აპრილი. რსფსრ-ს მებაიდარეთა წყვილმა — მსოფლიო ჩემპიონმა ნ. ბოიკომ და 19 წლის ნ. გოპოვამ, რომელმაც ევროპის იუნიორთა ჩემპიონატში გამოიჩინა თავი, სსრ კავშირის თასის გათამაშებაში გაიმარჯვეს 500-მეტრიან დისტანციაზე — 2.06,4. ერთ კილომეტრზე რბოლაშიც რსფსრ-ს წარმომადგენლებს კ. კოსტენკოსა და ვ. კონონოვს ხვდათ წარმატება — 3.59,1. ამ მანძილზე ორმოსასმელიანი კანოეებით შეჯიბრებაში საუკეთესონი იყვნენ ტაჯიკეთის წარმომადგენლები ვ. პანკოვი და მ. ლობანოვი — 4.26,1.

● რომი, 27 აპრილი. იტალიის ღია ჩემპიონატში მოასპარეზე საბჭოთა ჩოგბურთელებმა — მოსკოველმა ო. მოროზოვამ და თბილისელმა ა. მეტრეველმა მორიგი წარმატებები იზეიმეს: მოროზოვამ დაამარცხა ძლიერი ავსტრალიელი ჩოგბურთელი ლ. ჰანტი (3:6, 6:3, 6:0), რომელსაც ტურნირის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიიჩნევდნენ. მეტრეველმა სძლია ახალზელანდიელ ო. პარუნს — 7:6, 6:4.

## სპორტი მზარეულებსაც უყვართ

ველიკიე ლუკის სავაჭრო-კულინარული სასწავლებლის სპორტულ კუთხეში საქალაქო შეჯიბრებებში მოპოვებული ბევრი თასი ინახება. ამ სასწავლებლის სპორტსმენები მოწინავენი არიან ფრენბურთში, სათხილამურო სპორტში, ციგურაობაში, ჩოგბურთში, სროლაში. ბოლო სპორტული ჯილდო წლეულს მოიპოვა ახალგაზრდა მოშაშეთა გუნდმა მომავალი მზარეულების ტ. აირიხის, ზ. ზვონკოვას, ლ. კატუშინას, მ. კოვალიოვას, ლ. ორლოვასა და ვ. პანტელეევის შემადგენლობით.

სასწავლებელში ფიზკულტურას დიდი ყურადღება ექცევა. მეცადინეობა აგებულია ფორმულით „პლუს 250". ეს ნიშნავს, რომ პირველ კურსზე ფიზკულტურისთვის გამოყოფილი 78 საათის გარდა ახალგაზრდები კიდევ 250 საათს უთმობენ სპორტს სხვადასხვა სექციაში საზოგადოებრივი მწვრთნელების ხელმძღვანელობით.

„მთავარია არა რეკორდები, არამედ ყოველი მოსწავლის ჯანის გამაგრება", — ამბობენ სასწავლებლის დირექტორი ი. ვინოგრადოვი და ფიზკულტურის მასწავლებელი გ. სელეზნიოვი.

ფსკოვის ოლქის ბევრ რაიონში ველიკიე ლუკის სავაჭრო-კულინარული სასწავლებლის აღზრდილები სპორტთან მეგობრობას აგრძელებენ, საზოგადოებრივი მწვრთნელის საქმესაც ასრულებენ. თავიანთი კოლეგები სხვადასხვა შეჯიბრების სტარტზე ბევრჯერ გამოუყვანიათ ნ. კორნიშევასა და მ. იაკოვლევას, გ. ალექსეევასა და მ. გრიგორიევას.

ნ. მილოვი.

ველიკიე ლუკი.

## საჯდელი მოყვარულებს

ბათუმის „ვოდნიკის" ახალგაზრდული სპორტული სკოლის აფროსნები გულმოდგინედ ვარჯიშობენ: სრულყოფენ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებას, რათა საქართველოს პირველობაში (ივნისი, თბილისის ზღვა) წარმატება მოიპოვონ.

ს უ რ ა თ ზ ე: ვოდნიკელები მორიგი ვარჯიშის დროს.

ა. ჩანტლაძის ფოტო.





ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

# ფ. რეხვიაშვილს — სასტიკი საყვედური

თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრი ფ. რეხვიაშვილი სისტემატურად არღვევს სპორტულ და საყოფაცხოვრებო რეჟიმს, თვითნებურად აცდენს საწვრთნელ მეცადინეობებს და მთვრალიც კი ცხადდება ხოლმე. ამის შედეგად იგი, ცხადია, სათანადოდ ვერ ემზადება საკავშირო ჩემპიონატის მატჩებისთვის. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მოსკოვის „ტორპედოსთან" თამაშის შემდეგ რეხვიაშვილმა თვითმფრინავზე დააგვიანა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა გუშინწინდელ სხდომაზე იმსჯელა ფ. რეხვიაშვილის საქციელზე და დაადგინა: სპორტული და საყოფაცხოვრებო რეჟიმის სისტემატური დარღვევისთვის, მეცადინეობების თვითნებურად გაცდენისა და საკავშირო ჩემპიონატის მატჩებისთვის არასათანადო მზადებისთვის თბილისის „დინამოს" წევრს ფ. რეხვიაშვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

გუნდის ხელმძღვანელობა (ნ. ჩხატარაშვილი, გ. კაჩალინი) გაფრთხილებულია, რომ, თუ ფ. რეხვიაშვილმა განაგრძო უწესოდ ქცევა, იგი უფრო მკაცრად დაისჯება, კოლექტივიდან გარიცხვამდე და დისკვალიფიკაციამდეც კი.

სსრ კავშირის პირველობა

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 29 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კ.) | 4 | 2 | 2 | 0 | 6—1 | 6 |
| „ზარია" | 4 | 2 | 2 | 0 | 4—1 | 6 |
| „სპარტაკი" | 4 | 2 | 2 | 0 | 4—1 | 6 |
| „ნეფთჩი" | 4 | 2 | 2 | 0 | 4—2 | 6 |
| ცსკა | 4 | 2 | 1 | 1 | 4—2 | 5 |
| „ტორპედო" | 4 | 2 | 1 | 1 | 4—3 | 5 |
| „დინამო" (თბ.) | 4 | 1 | 2 | 1 | 4—2 | 4 |
| „დინამო" (მნ.) | 4 | 0 | 4 | 0 | 0—0 | 4 |
| „არარატი" | 3 | 1 | 1 | 1 | 3—1 | 3 |
| „დინამო" (მ.) | 3 | 1 | 1 | 1 | 3—3 | 3 |
| „ზენიტი" | 4 | 0 | 3 | 1 | 4—5 | 3 |
| „ყაირათი" | 4 | 0 | 3 | 1 | 4—5 | 3 |
| „დნეპრი" | 4 | 1 | 1 | 2 | 3—6 | 3 |
| „კარპატი" | 4 | 0 | 3 | 1 | 1—4 | 3 |
| ასკ (როსტოვი) | 4 | 1 | 0 | 3 | 4—6 | 2 |
| „ლოკომოტივი" | 4 | 0 | 0 | 4 | 2—12 | 0 |

## ლიპეცკელებმა ქულა იხსნეს

27 აპრილს ფოთში გაიმართა ძალიან საინტერესო მატჩი: ადგილობრივმა „კოლხეთმა" მიიღო ზონის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, შარშანდელ ტურნირში გამარჯვებული ლიპეცკის „მეტალურგი".

„მეტალურგის" სიძლიერე კარგადაა ცნობილი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მის შემადგენლობაში გამოდიან უმაღლესი ლიგის უწინდელი მოთამაშეები, სპორტის ოსტატები ხოლდატოვი, ევლენტიევი, ვოტოლოვსკი, სტაფეროვი, სამოხინი... ცხადია, ამ მატჩს „კოლხეთი" სრული სერიოზულობით მოეკიდა და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საუკეთესოდაც ითამაშა. თუ ვილაპარაკებთ შეხვედრის საბოლოო შედეგზე, მას, პირველ ყოვლისა, უნდა უმადლოდნენ სტუმრები, რომლებიც ფაქტიურად მარცხს გადაურჩნენ.

ფოთელებმა პირველივე წუთებიდან სწრაფი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს და დასაწყისშივე შექმნეს რამდენიმე სახიფათო მომენტი. „მეტალურგი" ჯერ კიდევ მე-11 წუთზე გადაურჩა აშკარა გოლს, შემდეგ კვარაცხელიამ ხელსაყრელი მდგომარეობიდან ორჯერ ააცდინა ბურთი მიზანს. ლიპეცკელებს არსებითად მხოლოდ ერთი რეალური მომენტი ჰქონდათ, როცა ტაიმის დასასრულს სტაფეროვმა ვერ შეძლო ზუსტად დარტყმა.

შესვენების შემდეგ მეტალურგებმა თავიდანვე დაცვითს ტაქტიკას მიმართეს და თავიანთ საჯარიმო მოედანზე თავი მოუყარეს 6-7 ფეხბურთელს. 55-ე წუთზე „კოლხეთის" თავდასხმაში გათამაშდა კარგი კომბინაცია არზიანი — კვარაცხელია — სანაია. ბურთი ამჯერადაც აცდა კარს. მეორე ტაიმმა ისე განვლო, რომ ფოთელები თითქმის არ მოსცილებიან სტუმრების კარს. მიუხედავად ამისა, ანგარიში არ გახსნილა და ლიპეცკელებმა შეძლეს ქულის ხსნა.

ბ. ბასილაია.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ფოთი.

## 1 : 1

გორელმა ფეხბურთის მოყვარულებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს კალენდარული მატჩისადმი, სადაც მათი გუნდის — „დილის" მეტოქე იყო ბათუმის დინამოელთა გამოცდილი კოლექტივი. „დილას" პირველი შეხვედრა მახარაძეში წაგებული ჰქონდა, ამიტომ, ცხადია, სრული ძალით იბრძოლებდა საკუთარ მინდორზე.

პირველ ნახევარში ბრძოლა ორმხრივი იერიშებით წარიმართა. ორივე გუნდმა თავიდანვე მაღალი ტემპი აიღო, კომბინაციები თამაშდებოდა სწრაფად, მოფიქრებულად და მეკარეებს საკმაოდ ხშირად უხდებოდათ თამაშში ჩაბმა. ერთ-ერთ მომენტში ბათუმელთა მეკარე პავლოვმა მხოლოდ ბოლო მომენტში შეძლო ხიფათის უვნებელყოფა.

„დილას" წარმატება მოუტანა მეორე ტაიმის დასაწყისმა: 53-ე წუთზე კარგად გათამაშდა კუთხური მოწოდება, რომელიც ზუსტი დარტყმით დაამთავრა ბურჯანაძემ — 1:0.

სტუმრებმა მარცხს ძლიერი კონტრშეტევებით უპასუხეს. მათ მთლიანად ხელთ აიღეს უპირატესობა, რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოპირდაპირე კართან და ბოლოს ქიქავამ შეძლო მასპინძელთა დაცვაში დაშვებული შეცდომის გამოყენება—1:1.

## II ლიგა III ზონა

მატჩის დაწყების წინ ორივე გუნდის მოთამაშეებმა და მაყურებლებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს თბილისის „დინამოს" მეკარის, სპორტის ოსტატ თ. სტეფანიას ხსოვნას, რომელიც უწინ გორის „დილაში" თამაშობდა.

გ. გოზალიშვილი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

გორი.

ასე დამთავრდა: „დრუჟბა" (მაიკოპი) — „სალუტი" (ბელგოროდი) 2:0, „დინამო" (სოხუმი) — „შრომითი რეზერვები" (კურსკი) 1:0, „გურია" (ლანჩხუთი) — „ტრუდი" (ვორონეჟი) 1:1, „დინამო" (ბრიანსკი) — „სპარტაკი" (ორიოლი) 1:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) 3:0, „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) — „მაშინოსტროიტელი" (პოდოლსკი) 0:1, „მერცხალი" (მახარაძე) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:0.

## მოზარდთა ტურნირი

გაიმართა მოზარდ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი მატჩები: „მეტალურგი" (რუსთავი) — „სპორტინტერნატი" (თბილისი) 2:2, „დინამო" (ბათუმი) — „განთიადი" (თბილისი) 0:0, „დინამო" (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი) 2:0, „დინამო" (სოხუმი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თელავი) 3:0, „გურია" (ლანჩხუთი) — „განთიადი" (თბილისი) 0:1, „ავაზა" (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „განთიადი" | 10 | 7 | 3 | 0 | 19—4 | 17 |
| „დინ." (სოხ.) | 10 | 8 | 1 | 1 | 20—9 | 17 |
| განათლ. განყ. | 10 | 6 | 3 | 1 | 28—3 | 15 |
| ახალ. საფ. სკოლა (თბილისი) | 10 | 6 | 3 | 1 | 19—8 | 15 |
| „სპორტინტ". | 11 | 5 | 4 | 2 | 14—9 | 14 |
| „დინამო" (ბ.) | 10 | 3 | 6 | 1 | 9—5 | 12 |
| „მეტალურგი" | 11 | 4 | 4 | 3 | 15—13 | 12 |
| „ტორპედო" | 9 | 4 | 3 | 2 | 15—8 | 11 |
| „ავაზა" | 12 | 4 | 3 | 5 | 13—30 | 11 |
| „დინ." (თბ.) | 10 | 4 | 2 | 4 | 11—9 | 10 |
| ახალგ. საფ. სკოლა (გაგრა) | 10 | 4 | 0 | 6 | 9—12 | 8 |
| „დილა" | 10 | 3 | 2 | 5 | 9—17 | 8 |
| „მერცხალი" | 10 | 2 | 3 | 5 | 10—19 | 7 |
| მწვრთნელთა სკოლა | 9 | 2 | 3 | 4 | 6—18 | 7 |
| ახალგ. საფ. სკოლა (თელავი) | 11 | 0 | 6 | 5 | 9—18 | 6 |
| „გურია" | 11 | 1 | 1 | 9 | 6—16 | 3 |
| „კოლხეთი" | 10 | 0 | 1 | 9 | 1—20 | 1 |

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „კახეთი" (თელავი) — „კოლხეთი" (ხობი) 3:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

მატჩის სადებიუტო ნაწილმა საგრძნობი წარმატება მოუტანა „კახეთს". მე-8 წუთისთვის კობახიძემ და იმერლიშვილმა ზედიზედ ორჯერ აიღეს ხობელთა კარი, ხოლო ტაიმის დასასრულს ტიკურიშვილმა ანგარიში 3:0-მდე აიყვანა. შესვენების შემდეგ თელაველები ისეთი ენერგიით აღარ იბრძოდნენ, რამაც „კოლხეთს" საშუალება მისცა გაეტანა ერთი გოლი.

უცენზურო სიტყვებისთვის გაფრთხილებულია ხობელი ნ. გვასალია.

● „ვარკეთილი" (გარდაბანი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 0:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

გოლი გაიტანა ოდიშარიამ.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილება მიეცა „სალხინოს" მოთამაშე ო. ქილაიას.

● „დინამო" (ზუგდიდი) — „სინათლე" (თბილისი) 1:0. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

ბურთი თბილისელთა კარში 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა ალმასიამ.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია ზუგდიდელი ა. კემულარია.

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „განთიადი" (ბორჯომი) 1:2. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

მასპინძლები დასაწყისშივე დაწინაურდნენ (ქაჩიბაია), მაგრამ შემდეგ დათმეს უპირატესობა. ტაიმის ბოლომდე პეტროსიანმა ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი წინ გაიყვანა თავისი გუნდი. შესვენების შემდეგ ცხაკაიელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ამაოდ.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება მიეცა ბორჯომელ თ. ხვედელიძეს.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „მეშახტე" (ტყიბული) 1:0. მსაჯი ზ. თოდაძე (ქუთაისი).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:1. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

უდისციპლინო საქციელისთვის გაფრთხილება მიეცა თბილისელ რ. ბადუაშვილს.

● „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 5:0. მსაჯი ჯ. მგელაძე (თბილისი).

ლოკომოტიველებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ მთელი თამაშის მანძილზე, თუმცა შესვენებამდე ისე წავიდნენ, რომ ბურთი არ გაუტანიათ. განახლდა თამაში და „ფეიქრის" დაცვა მთლიანად დეზორგანიზებული აღმოჩნდა. სართანიამ, დემეტრაშვილმა და ხოფერიამ (ორჯერ) ზუსტი დარტყმებით აიღეს სტუმართა კარი. ამას დაემატა წულუკიძელთა მცველის ბოცვაძის მიერ საკუთარ კარში გატანილი გოლი.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია წულუკიძელი რ. ბარაბაძე. ეს მისი მეორე გაფრთხილებაა მიმდინარე სეზონში.

● „ივერია" (ხაშური) — „შუქურა" (ქობულეთი) 1:1. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

● „გიგანტი" (ლაითური) — ასკ (თბილისი) 0:1. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

● „სულორი" (ვანი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 3:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

ბურთები გაიტანეს ნუცუბიძემ, ოჩხიკიძემ და ნაჭყებიამ.

● „სამცხე" (აწყური) — „ისანი" (თბილისი) 2:1. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებული არიან თბილისელი გ. კეჟერიშვილი და აწყურელი ა. ზუბოვი.

### II ჯგუფი

#### I ზონა

„ალაზანი" (გურჯაანი) — „კოლმეურნე" (ტიბაანი) 2:0, „ვარძია" (ასპინძა) — „ავტომობილისტი" (ცხინვალი) 2:1, „მესხეთი" (ახალციხე) — „ცისკარი" (სიღნაღი) 1:0, „ვაზი" (შრომა, გურჯაანი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 2:1, „მევენახე" (ვაზისუბანი) — „არაგვი" (დუშეთი) 1:0, „შირაქი" (წითელი წყარო) — „შევარდენი" (თბილისი) 1:0, „გარისი" (თეთრი წყარო) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 3:1. ყვარლის „დრუჯბს" მოგება ჩაეთვალა წალკის „მშენებელთან".

#### II ზონა

„განახლება" (ადიგენი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 1:2, „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „სქური" (წალენჯიხა) 3:0, „ჩიხურა" (საჩხერე) — „დიოსკურია" (სოხუმი) 3:1, „დინამო" (ოჩამჩირე) — „მზიური" (გალი) 1:0, „კახაბერი" (ხელვაჩაური) — „იმერეთი" (თერჯოლა) 2:3, „განთიადი" (აბაშა) — „დინამო" (ქუთაისი) 2:3, ხეტყის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 1:1.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 29 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ." (ზუგ.) | 9 | 5 | 2 | 2 | 11—6 | 12 |
| „შუქურა" | 9 | 5 | 2 | 2 | 12—9 | 12 |
| „ლოკომ." (ს.) | 9 | 5 | 2 | 2 | 12—10 | 12 |
| ასკ (თბ.) | 9 | 4 | 3 | 2 | 11—5 | 11 |
| ფიზ. ინსტ. | 9 | 4 | 3 | 2 | 10—5 | 11 |
| „სამცხე" | 9 | 4 | 3 | 2 | 11—10 | 11 |
| „სალხინო" | 9 | 4 | 3 | 2 | 10—9 | 11 |
| „ვარკეთილი" | 9 | 4 | 2 | 3 | 10—7 | 10 |
| „კახეთი" | 9 | 4 | 2 | 3 | 13—12 | 10 |
| „ლოკომ". (თბ.) | 9 | 3 | 3 | 3 | 16—11 | 9 |
| „სინათლე" | 8 | 3 | 3 | 2 | 10—6 | 9 |
| „სულორი" | 9 | 3 | 3 | 3 | 9—5 | 9 |
| „გიგანტი" | 9 | 3 | 3 | 3 | 4—5 | 9 |
| „მეშახტე" | 8 | 3 | 2 | 3 | 12—10 | 8 |
| „მეტალურგი" | 9 | 3 | 2 | 4 | 7—13 | 8 |
| „ქართლი" | 9 | 3 | 1 | 5 | 15—14 | 7 |
| „ისანი" | 9 | 3 | 1 | 5 | 9—9 | 7 |
| „კოლხეთი" | 9 | 2 | 3 | 4 | 6—7 | 7 |
| „ეგრისი" | 9 | 2 | 3 | 4 | 8—14 | 7 |
| „განთიადი" | 9 | 1 | 4 | 4 | 5—9 | 6 |
| „ივერია" | 9 | 2 | 2 | 5 | 9—19 | 6 |
| „ფეიქარი" | 9 | 1 | 2 | 6 | 3—18 | 4 |

## წარმატება გრძელდება

დასასრული

მავალი მზის ქვეყნის ჩემპიონმა ხ. კასამაცუმ ყველას აჯობა ორძელსა და ძელზე, სადაც ტურნირის უმაღლესი შეფასება — 9,75 ქულა დაიმსახურა.

16 წლის კორბუტმა დღევანდელი გამოსვლით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ რიგის ფიცარნაგზე მადალი არ ჰყავდა. კორბუტს ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში ჯერ არც ერთხელ არ აუღია ოფიციალური საერთაშორისო ჩემპიონატების სტარტი, მაგრამ უკვე შეიტანა თავისი წვლილი ტანვარჯიშის განვითარებაში. ტყუილად როდი ატკაცუნდნენ კინოკამერები, როცა პატარა ბელორუსიელი გოგონა ორძელზე და ძელზე ვარჯიშობდა: კორბუტი ამ იარაღებზე უნიკალურ ელემენტებს ასრულებს.

დამაჯერებლად ვარჯიშობდა ანდრიანოვიც. ახალი ჩემპიონი, რომელმაც რიგის სპორტის სასახლეში თავის რეგალიებს ბევრი ახალი ჯილდო დაუმატა, პირველ ყოვლისა სტაბილურობით გამოირჩევა. სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით ვაეთა ტურნირის მონაწილე დანარჩენ ოთხ საბჭოთა ტანმოვარჯიშეზე.

სასიამოვნოა, რომ რიგის ასპარეზობა ამიერიდან ტრადიციად იქცევა და უფრო პოპულარულიც გახდება. ამჯერად ლატვიის დედაქალაქში 17 ქვეყნის სპორტსმენებმა მოიყარეს თავი. მიუხედავად ამისა, ნამდვილი წინაოლიმპიური რეპეტიცია მაინც ვერ მოეწყო: ფავორიტებს ახლა დიდ აუდიტორიას საწვრთნელი დარბაზი ურჩევნიათ, არ უნდათ მიუნჰენამდე გაამჟღავნონ საიდუმლო. ეს საბჭოთა გუნდის ლიდერებსაც ეხებათ. სამაგიეროდ, ახალგაზრდობისთვის რიგის ტურნირი ოსტატობის საუკეთესო სკოლად იქცა.

ე. კეხრისი,
ი. ხრომოვი.
(საკდესის სპეც. კორ.).

# მ. იობიძე — იუნიორთა შორის პირველი

რიბინსკი, 27 აპრილი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის იუნიორ სამბისტთა პირადი პირველობა, რომელშიც მონაწილეობდა მოსკოვის, ლენინგრადისა და ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ორასზე მეტი სპორტსმენი.

ასპარეზობა რუსეთის ფედერაციის ათლეტთა დიდი უპირატესობით აღინიშნა. საკმარისია ითქვას, რომ 10 პირველი ადგილიდან რვა მათ მიიღეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ე. პოგორელოვი, ნ. პერსიანოვი, გ. ივშინი, ვ. ნევზოროვი (ყველა — რსფსრ), ა. აბრამოვი (ლენინგრადი), ვ. ლიზენკო, ვ. ბეტანოვი (ორივე — რსფსრ), მ. იობიძე (საქართველო), ო. ვაკულენკო (რსფსრ). საინტერესოა, რომ დასახელებულ სპორტსმენთაგან ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა მხოლოდ სამმა — ნევზოროვმა, ივშინმა და ვაკულენკომ. დანარჩენმა სამბისტებმა წარმატება პირველად იზეიმეს.

მ. იობიძემ დამაჯერებლად ჩაატარა მთელი ტურნირი და სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა. ამ ნიჭიერ და პერსპექტიულ ქუთაისელ სპორტსმენს მწვრთნელი ნ. ერემეიშვილი ამეცადინებს.

86 კგ წონის ათლეტთა შორის II საპრიზო ადგილი წილად ხვდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს ა. ბარკალაევს. თბილისის უნივერსიტეტელი ჯ. კბილაშვილი (75 კგ) III ადგილზე გავიდა.

მართალია, შეჯიბრება არ იყო გუნდური, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ არაოფიციალურად შეაჯამა გუნდური შედეგები და დაასახელა ლიდერები. ესენი არიან: რსფსრ, ლენინგრადი, საქართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩების წინ

• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

## სამწუხაროდ... ნაადრევი ფინალი

კენჭისყრა მეტად მკაცრია, ხშირად დაუნდობელიც კი. ასე მოხდა ახლაც: იანვრის ერთ-ერთ სუსხიან დღეს შვეიცარიელი მძლეოსანი ქალის მეტი ანტენენის მიერ ამოღებულმა ორმა ბარათმა ერთმანეთს დაუპირისპირა ევროპული ფეხბურთის ორი გიგანტი — პირველ ბარათზე ეწერა „ინგლისი" (ეს ნიშნავდა, რომ ფეხბურთის ალბიონელი ჯადოქრები პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრას საკუთარ მინდორზე ჩაატარებდნენ), ხოლო მეორე ბარათზე — „გფრ". ეს ნიშნავდა, რომ ამ მატჩში „უემბლის" სტადიონზე ინგლისელთა წინააღმდეგ წარსდგებოდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენები. როგორც ერთ, ისე მეორე გუნდს დიდი შანსები ჰქონდა, რომ ფეხბურთის ევროპული ჰეგემონიისთვის დავა ფინალურ მატჩში გადაეწყვიტა, მაგრამ ახლა ერთ-ერთი მათგანი ნახევარფინალის მიღმაც კი დარჩება.

როგორია ახლა ამ გუნდების პერსპექტივები? ამაზე ნაწილობრივ პასუხს გაგვცემს დღევანდელი პირველი მეოთხედფინალური მატჩი ლონდონის „უემბლის" სტადიონზე. „უემბლის" 100-ათასიანი ტრიბუნების ყველა ბილეთი 10 აპრილისთვის უკვე გაყიდული იყო. ყველა ინგლისელი ფეხბურთის მოყვარული და ლონდონში საგანგებოდ ამ შეხვედრისთვის ჩასული ნაირხმოვანი საყვირებით შეიარაღებული ფედერაციული გერმანიის 20 ათასამდე (და შესაძლოა მეტიც!) ტურისტი დარწმუნებულია, რომ ბრძოლა იქნება ვაჟკაცური და უშეღავათო, ხოლო სანახაობა — უაღრესად მიმზიდველი.

მოგვყავს ინგლისისა (ანგარიშებში პირველი მაჩვენებლები მათ ეკუთვნით) და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნულ გუნდებს შორის დღემდე ჩატარებული მატჩების ტექნიკური შედეგები:

1954 წ. 1 დეკემბერი, ლონდონი — 3:1 (1:0). გოლები: ბენთლი, ალანი, შაკლეტონი; ბეკი.
1956 წ. 26 მაისი, დასავლეთ ბერლინი — 3:1 (1:1). ედვარდსი, გრეინჯერი, ჰეინსი; ფრიც ვალტერი.
1965 წ. 12 მაისი, ნიურნბერგი — 1:0 (1:0). პეინი.
1966 წ. 23 თებერვალი, ლონდონი — 1:0 (1:0). სტაილზი.
1966 წ. 30 ივლისი, ლონდონი — 4:2 (2:2, 1:1). ჰერსტი (3), პიტერსი; ჰალერი, ვებერი.
1968 წ. 1 ივნისი, ჰანოვერი — 0:1 (0:0). ბეკენბაუერი.
1970 წ. 14 ივნისი, ლეონი — 2:3 (2:2, 1:0), მალერი, პიტერსი; ბეკენბაუერი, ზეელერი, მიულერი.

5 მოგება, 2 წაგება, ბურთების შეფარდება — 14:8 ინგლისელთა სასარგებლოდ.

## ოცი წლის წინათ...

ვულახდილად რომ ითქვას, ალბათ არც ერთ იუგოსლაველს არ უნდოდა თავისი გუნდის მეტოქედ სსრ კავშირის ნაკრები ეხილა. ამის მიზეზია ბოლო წლებში იუგოსლაველთა წარუმატებლობა საბჭოთა სპორტსმენებთან შეხვედრებში. და, საერთოდ, თუ არ ჩავთვლით წარმატებას 1966 წელს სარაევოში ჩატარებულ არაოფიციალურ მატჩში (1:0), საბჭოთა ფეხბურთელებთან იუგოსლაველებს ერთადერთი სრულფასოვანი გამარჯვება აქვთ მოპოვებული 20 წლის წინათ, 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში. ეს შეხვედრა აუცილებლად გახსენების ღირსია. პირველ მატჩში, როცა იუგოსლაველები დაწინაურდნენ — 5:1 (!), საოცარი სიძლიერით ამუშავდა „ბობროვის მანქანა" და საბჭოთა გუნდმა ანგარიში გაათანაბრა — 5:5. განმეორებით შეხვედრაში გაიმარჯვეს იუგოსლაველებმა — 3:1. ფინალურ მატჩში, უნგრეთის „დიდ გუნდთან" წაგების (0:2) მიუხედავად, იუგოსლაველებმა ჭეშმარიტად სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვეს. მაშინ მათ რიგებში თამაშობდნენ ფეხბურთის ისეთი დიდოსტატები, როგორიც იყვნენ ბეარა, ჩაიკოვსკი, მიტიჩი, ვუკასი, ბობეკი, ხორვატი, ბოშკოვი...

სწორედ ვუიადინ ბოშკოვმა მოამზადა ხვალისთვის „თავისი ბიჭები" სსრ კავშირის ნაკრების წინააღმდეგ, რათა, როგორც თვითონ განაცხადა, ორი პასუხი გასცეს საბჭოთა ფეხბურთელებს პარიზში (1960 წლის ევროპის ჩემპიონატი — 1:2) და არიკაში (1962 წლის ჩილის მსოფლიო ჩემპიონატი—0:2) დამარცხებისთვის.

მოგვყავს იუგოსლავიისა (ანგარიშებში პირველი მაჩვენებლები მათ ეკუთვნით) და სსრ კავშირის ეროვნულ გუნდებს შორის დღემდე ჩატარებული მატჩების ტექნიკური შედეგები:

1952 წ. 20 ივლისი, ტამპერე — 5:5 (3:1). ოგნიანოვი (2), ზებეცი (2), მიტიჩი; ბობროვი (3), ტროფიმოვი, პეტროვი.
1952 წ. 22 ივლისი, ტამპერე — 3:1 (2:1). ბობეკი, ვუკასი, ზებეცი; ბობროვი.
1956 წ. 3 დეკემბერი, მელბურნი — 0:1 (0:0). ა. ილინი.
1960 წ. 10 ივლისი, პარიზი — 1:2 (1:1, 1:0). გალიჩი; მეტრეველი, პონედელნიკი.
1962 წ. 31 მაისი, არიკა — 0:2 (0:0). ვ. ივანოვი, პონედელნიკი.

1964 წ. 26 ნოემბერი, ბელგრადი — 1:1 (1:1). ზამბატა; სერებრიანიკოვი.
1965 წ. 4 სექტემბერი, მოსკოვი — 0:0.
1966 წ. 18 მარტი, სარაევო — 1:0 (1:0). ვასოვიჩი.
1966 წ. 18 სექტემბერი, ბელგრადი — 1:2 (0:2). მუსოვიჩი; კრასნიცკი, მატვეევი.
1969 წ. 24 სექტემბერი, ბელგრადი — 1:3 (1:2). ჯაიჩი; ასატიანი, ნოდია, ბიშოვეცი.
1970 წ. 28 ოქტომბერი, მოსკოვი — 0:4 (0:2). ჩისლენკო, ფედოტოვი, კოლოტოვი, ნოდია.

6 მოგება, 3 ფრე, 2 წაგება, ბურთების შეფარდება — 21:13 საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ.

## უთავდებო ტრადიცია

ფეხბურთის რუმინელ წარმომადგენლებს ტრადიციის ძალისა რომ სჯეროდეთ, ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩებს უნგრელებთან არ ითამაშებდნენ, ვინაიდან აღნიშნულ გუნდებს შორის დღემდე ჩატარებული 10 შეხვედრა უნგრელთა აბსოლუტურ უპირატესობაზე მეტყველებს. რუმინელებმა მიაღწიეს მხოლოდ ერთ ფრეს — 1:1 (მეორე მსოფლიო ომის პირველ დღეებში, 1939 წლის შემოდგომით, ისიც, საკუთარ მინდორზე), ხოლო დანარჩენ 9 მატჩში დამარცხდნენ.

მაგრამ უნგრელებს განა შეუძლიათ სათანადოდ არ დააფასონ მეტოქენი და მშვიდად იყვნენ? მართალია, ტრადიცია და ამ ორი ქვეყნის ნაკრები გუნდების საფეხბურთო მიკროისტორია სასიამოვნო მოჩვენებითს ტრიუმფს ჰპირდება უნგრელებს, მაგრამ არანაკლებ როლს თამაშობს ის ფაქტორიც, რომ ამავე ქვეყნების ბოლო შეხვედრიდან 14 წელი გავიდა და ამ წლების განმავლობაში თითქმის ორი თაობა შეიცვალა როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნის ნაკრებ კოლექტივებში. ამჟამად ერთმანეთის პირისპირ დგანან სრულიად ახალი ყალიბის გუნდები.

მოგვყავს უნგრეთისა (ანგარიშებში პირველი მაჩვენებლები მათ ეკუთვნით) და რუმინეთის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის უწინ ჩატარებული შეხვედრების ტექნიკური შედეგები:

1936 წ. 4 ოქტომბერი, ბუქარესტი — 2:1 (1:0). ლაზარი, ტოლდი; ბინდეა.
1939 წ. 22 ოქტომბერი, ბუქარესტი — 1:1 (0:0). ტოტი; შპილმანი.
1940 წ. 19 მაისი, ბუდაპეშტი — 2:0 (0:0). შაროში, დეტვაი.
1945 წ. 30 სექტემბერი, ბუდაპეშტი — 7:2 (5:2). ჰიდეგკუტი (2), პუშკაში (2), ზენგელერი, რუდაში, ნიერში; ფაბიანი, პერენი.
1947 წ. 12 ოქტომბერი, ბუქარესტი — 3:0 (2:0). პუშკაში (2), ეგრეში.
1948 წ. 6 ივნისი, ბუდაპეშტი — 9:0 (2:0). ეგრეში (3), კოჩიში (2), მესაროში (2), პუშკაში (2).
1948 წ. 24 ოქტომბერი, ბუქარესტი — 5:1 (1:0). პუშკაში (3), დეაკი (2); პერენი.
1952 წ. 15 სექტემბერი, ტურკუ — 2:1 (1:0). ციბორი, კოჩიში; სურუ.
1954 წ. 19 სექტემბერი, ბუდაპეშტი — 5:1 (3:1). კოჩიში (2), ჰიდეგკუტი (2), ბუდაი; ოზონი.
1958 წ. 26 ოქტომბერი, ბუქარესტი — 2:1 (0:1). ვაშაში, ტიხი; დანილესკუ.

9 მოგება, 1 ფრე, ბურთების შეფარდება — 38:8 უნგრელთა სასარგებლოდ.

## კვლავ საბედისწერო მაისი

ფერუჩიო ვალკარეჯიმ, რომელიც წარმატებით წვრთნის იტალიის ნაკრებს ბოლო 5 წლის მანძილზე, შვებით ამოისუნთქა, როცა კენჭისყრისას ვერცხლისფერ თასში ორი ბარათიღა დარჩა. ბარათების ამოუღებლადაც ყველასთვის ნათელი იყო ბოლო წყვილი: იტალია — ბელგია.

ევროპის ჩემპიონატის ტიტულის მფლობელი — იტალიის ეროვნული ნაკრები ამჟამად ახალ ძალებს ცდის სასურველ მეტოქესთან. ამ შეხვედრებმა, რასაც არც თვით ვალკარეჯი მალავს, ნახევარფინალისკენ შედარებით იოლი გზა უნდა გაუხსნას იტალიის ნაკრებს. ყოველ შემთხვევაში, იგივე ამოცანა საკმაოდ რთულდებოდა, მეოთხედფინალურ მატჩებში იტალიელთა წინააღმდეგ ძალისმიერი, უშეღავათო ბრძოლის მოყვარული ინგლისელები, გფრ ან სსრ კავშირი, განსაკუთრებით კი იუგოსლაველები რომ გამოსულიყვნენ.

ერთ-ერთ ინტერვიუში ვალკარეჯიმ აღნიშნა, რომ სისწრაფითა და ტექნიკით მაინცდამაინც დიდად ვერ გააკვირვებს ბელგიელებს, მაგრამ რჩება კიდევ ტაქტიკა, სადაც იგი გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვებას ვარაუდობს. და თუ კი ბელგიელები აქაც რაიმე აქტიურ კონტრშანსს მიმართავენ, მაშინ მინდორზე ამოქმედდებიან „სკუადრა აძურას" ვარსკვლავები.

ვან ჰიმსტი, ლამბერი, დევრინდტი, ვან მური, ჰეილენსი, ზემელინგი, თუ მაცოლა, რივა, ბონინსენია, ფაკეტი, ბურგნიჩი, როზატო? ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს მივიღებთ მაისში, ბელგიელთათვის საბედისწერო თვეში: უწინ ნაწვნევი 9 დამარცხებიდან 5 სწორედ ამ თვეზე მოდის.

მოგვყავს იტალიისა (ანგარიშებში პირველი მაჩვენებლები მათ ეკუთვნით) და ბელგიის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის წინათ ჩატარებული მატჩების ტექნიკური შედეგები:

1913 წ. 1 მაისი, ტურინი — 1:0 (0:0). არა.
1921 წ. 5 მაისი, ანტვერპენი — 3:2 (0:1). მიგლიავაჩო, ფორლივესი, ფერარისი; ლარნო, ბრაჟარი.
1922 წ. 21 მაისი, მილანი — 4:2 (1:0). მოსკარდინი (2), ბოლონჩიერი, ბურლანდო; ლარნო, ტისი.
1923 წ. 12 თებერვალი, ბრიუსელი — 3:2 (1:1). მეაცა (2), კოსტანტინო; ვოორჰოფი (2).
1938 წ. 15 მაისი, მილანი — 6:1 (2:1). პიოლა (3), მეაცა, ანდრეოლო, პასინატი; კაპელე.
1950 წ. 5 მარტი, ბოლონია — 3:1 (1:1). მუჩინელი (2), ამადეი; დ'აგილარი.
1952 წ. 27 თებერვალი, ბრიუსელი — 0:2 (0:2). მოესი (2).
1954 წ. 20 ივნისი, ლუგანო — 4:1 (1:0). პანდოლფინი, გალი, ფრინანი, ლორენცი; ანული.
1955 წ. 16 იანვარი, რომი — 1:0 (1:0). ბონიპერტი.
1962 წ. 13 მაისი, ბრიუსელი — 3:1 (1:0). ალტაფინი (2), მენიჩელი; ვან ჰიმსტი.

9 მოგება, 1 წაგება, ბურთების შეფარდება — 28:12 იტალიელთა სასარგებლოდ.

## მოკლედ

● **პარიზი.** მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ნაკრებმა უკანასკნელი ამხანაგური მატჩი ბუქარესტში რუმინელებთან წააგო (0:2), ფეხბურთის ეროვნულმა ფედერაციამ სწორედ ახლანდელ მწვრთნელს ბულონს მიანდო გუნდის მომზადება მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

● **ბარსელონა.** აქ გამოცხადდა, რომ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალურ მატჩს 24 მაისს ბარსელონაში იმსაჯებს ესპანელი პინტადო.

● **ამსტერდამი.** პარიზის „ფრანს ფუტბოლის" რედაქტორმა იურბინიმ „ოქროს ბურთი" გადასცა „აიაქსის" თავდამსხმელს კრუიფს, რომელსაც ეს ჯილდო დეკემბერში მიენიჭა.

## ხელბურთელთა კენჭისყრის შედეგი

მიუნჰენის ოლიმპიადის დასკვნითი ტურნირის 16 მონაწილე ელოდა კენჭისყრას, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. გუნდები დაიყვნენ ოთხ ჯგუფად — „ა", „ბ", „გ" და „დ".

„ა" ჯგუფში სსრ კავშირის ნაკრებთან ერთად მოხვდნენ დანიის, შვეციის და პოლონეთის გუნდები. როგორც ხედავთ, აქ სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟებს ერთობ ძლიერი მეტოქეები ეყოლებათ.

დანარჩენ ჯგუფებში გუნდები ასე განაწილდნენ: „ბ" ჯგუფი. გდრ, ჩეხოსლოვაკია, ისლანდია, ტუნისი; „გ" ჯგუფი. რუმინეთი, გფრ, ნორვეგია, ესპანეთი; „დ" ჯგუფი. იუგოსლავია, უნგრეთი, იაპონია, აშშ.

თითოეული კვარტეტის ორი საუკეთესო წარმომადგენელი შექმნის ნახევარფინალურ ჯგუფებს და აქ განაგრძობს წარმატებისთვის ბრძოლას. ერთ ნახევარფინალურ ჯგუფში მოხვდებიან „ა" და „ბ" ჯგუფების წარმომადგენლები, ხოლო მეორეში — „გ" და „დ" ჯგუფებში I-II ადგილებზე გასულნი.

ნახევარფინალურ ჯგუფებში გამარჯვებულნი 9 სექტემბერს ოლიმპიური ჩემპიონის სახელისთვის ერთმანეთს გადამწყვეტ მატჩში შეხვდებიან. II ადგილებზე გასულნი III ადგილს გაითამაშებენ და ა. შ.

## საფეხბურთო მინდვრებზე

**სოფია, 27 აპრილი.** ბულგარეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ფრედ (2:2) დაამთავრა ევროპის ჩემპიონატის პირველი მეოთხედფინალური მატჩი ჰოლანდიელ თანატოლებთან.

**კოპენჰაგენი, 27 აპრილი.** ახალგაზრდული გუნდების ევროპული ჩემპიონატის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში დანიელებმა ანგარიშით 2:0 სძლიეს საბერძნეთის ნაკრებს.

**სტოკჰოლმი, 27 აპრილი.** ევროპის ახალგაზრდა ფეხბურთელთა (23 წლამდე) ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩში შვეციელებმა მარცხის სიმწარე იწვნიეს ჩეხოსლოვაკიელთაგან — 0:1.

ახალგაზრდული ნაკრები გუნდების საპასუხო მეოთხედფინალური მატჩები 13 მაისს გაიმართება.

**ბელგრადი, 27 აპრილი.** გდრ-ის ნაკრებმა მოიხვეჭა მიუნხენის ოლიმპიური თამაშების საგზური — აქ ფრედ (0:0) დაამთავრა შეხვედრა იუგოსლავიის გუნდთან. როსტოკში გამართულ პირველ მატჩში გაიმარჯვეს გერმანელებმა — 2:0.

**ვარშავა. 27 აპრილი.** აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ოლიმპიური ტურნირის II შესარჩევი ჯგუფის გუნდების — პოლონეთისა და ესპანეთის კოლექტივების შეხვედრამ. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0. ასეთივე ანგარიშით მოიგეს პოლონელებმა პირველი შეხვედრაც. ახლა ისინი ბულგარელებთან ერთად 4-4 ქულით ლიდერობენ ამ ჯგუფში. ოლიმპიური საგზურის ბედს გადაწყვეტს ორი მატჩი: პოლონეთი — ბულგარეთი და ესპანეთი — ბულგარეთი.

**პრაღა, 27 აპრილი.** ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ანგარიშით 6:0 მოუგო ამხანაგური მატჩი ლუქსემბურგის გუნდს.

**გლაზგო, 27 აპრილი.** პერუს ნაკრებმა თავისი ევროპული ტურნეს მორიგ მატჩში მარცხის სიმწარე იწვნია შოტლანდიელთაგან — 0:2.

**ჟენევა, 27 აპრილი.** შვეიცარიისა და შვეციის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1.

**რიო-დე-ჟანეირო, 27 აპრილი.** ბრაზილიის ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 3:2 სძლია პარაგვაის გუნდს.

## ჩინებული შედეგიანობა

ცნობილმა მცველმა ჯ. ჩარლტონმა ამას წინათ თავისი საიუბილეო, მე-600 მატჩი ჩაატარა ინგლისის ჩემპიონატებში და გოლიც გაიტანა.

ეს მისი 67-ე გოლია ეროვნულ ჩემპიონატებში.

## ალბათ გადააჭარბებს

ბელგიის ჩემპიონატების უპირველეს სნაიპერად ყველა დროის მანძილზე ითვლება კოპენსი (217 ბურთი), მაგრამ იგი კარგა ხანია აღარ თამაშობს. მოქმედ ფეხბურთელთაგან მის რეკორდს რეალურად ემუქრება ვან ჰიმსტი, რომელმაც ამას წინათ 212-ე ბურთი გაიტანა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ეკრანი

**ფეხბურთი.** საქართველოს პირველობა. I ჯგუფი. 29 აპრილი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი)—„სულორი" (ვანი). დასაწყისი 17 ს. „სინათლის" სტადიონი. „სინათლე" (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). 17 ს. II ჯგუფი. 30 აპრილი. აეროპორტის სტადიონი. „შევარდენი" (თბილისი) — „მევენახე" (ბოლნისი). 17 ს. მოზარდთა რესპუბლიკური ჩემპიონატი. 30 აპრილი. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი). 13 ს. გლდანის სტადიონი. „სპორტინტერნატი" (თბილისი) — „მერცხალი" (მახარაძე). 14 ს. ასკ-ს სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — „დინამო" (სოხუმი). 17 ს. „ისნის" სტადიონი. „განთიადი" (თბილისი) — „დილა" (გორი). 17 ს.

**მძლეოსნობა.** „ლოკომოტივის" სტადიონი. 29-30 აპრილი. 1954-56 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა საქალაქო პირველობა. მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების გუნდები. დასაწყისი 16 ს.

ИНДЕКС 66448 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. — უე 04512